ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი #3

27 ივლისი 2020 წელი

ქ.ბაღდათი 15.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: ირინა ტყეშელაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:
მაია კბილაშვილი
ფრიდონ მაჩიტაძე
სიმონ ჭოლოკავა

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი ნატო მაჩიტაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ა.ა.ი.პ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორის ინფორმაცია „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

მომხს: ნატო მაჩიტაძე

თანამომხსენებელი: ირინა ტყეშელაშვილი

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: ა.ა.ი.პ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორის ინფორმაცია „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორმა ნატო მაჩიტაძემ

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ ვის ევალება ეს წესების დაცვა რეგულაციების მიმართულებით რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება, ვინ ახდენს კონტროლს და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება ხსნარების გამოყენებაზე და დეზობარიერების არსებობა აუცილებელი პირობაა და ამასთან განსაკუთრებით საჭიროა თავშეყრის ადგილებშ ხანდაზმულთა დაცვა

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა კითხვით მიმართა ნატო მაჩიტაძეს დეზინფექციის ჩატარების ეტაპები რა დროში ხდება

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი: ნატო მაჩიტაძემ უპასუხა ირინა ტყეშელაშვილს, რომ დეზიფენქცია ყოველი კვირის ბოლოს უნდა ჩატარდეს და სასადილოებში ყოველ საღამოს ყველა დღეს

კომისიის წევრი: სიმონ ჭოლოკავამ კითხვით მიმართა ნატო მაჩიტაძეს, ზოგიერთმა ეს ვირუსი დაძლია, მეორედ დავირუსებისას გადატანილი აქვს ეს ვირუსი თუ არა ტესტირებაში რამდენად ჩანს

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი: ნატო მაჩიტაძემ უპასუხა სიმონ ჭოლოკავას, რომ ვერ გეტყვით ვინც ვირუსი გადაიტანა კიდევ დაინფიცირდება თუ არა, მაგრამ ტესტირებაში გადატანილი ვირუსი არ ჩანს

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი: ნატო მაჩიტაძემ განაცხადა, რომ ტესტირებები ისევ კეთდება და ყველა საჭირო პროცედურები ვირუსის საწინააღმდეგოდ ისევ მიმდინარეობს

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა, განაცხადა, რომ წესების დაცვა რეგულაციების მიმართულებით აუცილებელია, ვინ ახდენს კონტროლს და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებაზე ხსნარების გამოყენებაზე დისტანციის დაცვაზე პირბადის გამოყენებაზე, რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება, უფრო მეტი კონტროლირება არის საჭირო და მკაცრი მოთხოვნაა საჭირო სხვადასხვა სფეროებში რეგულაციების დაცვის მიმართულებით

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ა.ა.ი.პ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორის ინფორმაცია „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მიიღო ცნობის სახით და გატანილ იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

საკითხს თან ერთვის დანართი
სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილი